



დაეში
და
საქართველოს წინაშე
არსებული გამოწვევები

გიორგი გოგუაძე
სერგი კაპანაძე

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
პოლიტიკის დოკუმენტი

საქართველოს რეფორმების ასოციაცია

**დაეში და საქართველოს წინაშე
არსებული გამოწვევები**

პოლიტიკის დოკუმენტი

GRASS
REFORMANDA

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)

მიცკევიჩის ქუჩა 27, თბილისი, საქართველო, 0194,

ტელ: +995322222913

www.grass.org.ge

grass@grassgroup.org

თბილისი

ნოემბერი, 2015

სარჩევი:

- შესავალი..... 3
- დაემისგან მომავალი საფრთხეები საქართველოსთვის..... 6
- საქართველოს მოქალაქეების რეკრუტირება და გადინება.....10
- საქართველოს მოწყვლადი რეგიონები: პანკისის ხეობის მაგალითი.....13
- პანკისის ხეობის გამოწვევები.....15
 - განათლება.....15
 - ეკონომიკური გარემო.....16
 - ადგილობრივი თემობრივი და რელიგიური გარემო.....17
 - თაობებს შორის უფსკრული.....17
- სახელმწიფო პოლიტიკა ხეობის მიმართ.....18
- დაემის მხარდამჭერთა გააქტიურება საქართველოში და რეკრუტირების ინსტრუმენტები.....19
- სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები დაემის წინააღმდეგ.....21
- რეკომენდაციები.....24

GRASS
REFORMANDA

შესავალი

ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო (ISIL), იგივე ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო (ISIS), ან „ისლამური სახელმწიფო“ (ამიერიდან, დაეში), 2014 წლის ივნისიდან ოფიციალურად წარმოადგენს თანამედროვე სამყაროსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპლექსურ საფრთხეს.¹

დაეში² ახლო აღმოსავლეთში, სირიისა და ერაყის სახელმწიფოთა ტერიტორიების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებს. ორგანიზაცია მკაცრად იერარქიული მმართველობით ხასიათდება აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მეთაურობით. ამჟამად „ისლამური სახელმწიფო“ 30,000-ზე მეტ „ჯარისკაცს“ აერთიანებს, ხოლო ოფიცერთა და სავლეთ მეთაურთა ძირითადი კორპუსი სადამ ჰუსეინის არმიის ვეტერანებისა და სამხედროებისაგან შედგება.³

წინამდებარე კვლევის მთავარი საკვლევი კითხვა ორი მიმართულებით ვითარდება. ძირითადი ამოცანა არის იმის დადგენა, თუ რამდენად სერიოზულ და რეალურ საფრთხეს წარმოადგენს დაეში საქართველოსთვის.

2014 წლამდე, ტერორიზმთან ბრძოლა საქართველოში აღქმული იყო როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ომი, სადაც საქართველოს, რა თქმა უნდა, ჰქონდა და აქვს საკუთარი, როგორც ძლიერი მოკავშირე სროლი. მიუხედავად ამისა, უშუალოდ ისლამისტური ტერორიზმის საფრთხის წინაშე საქართველო არასოდეს დამდგარა, თუ არ ჩავთვლით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეებს.

კვლევის ფარგლებში ჩვენ ვისაუბრებთ „ისლამური სახელმწიფოს“ პოლიტიკასა და ხედვაზე კავკასიისა და საქართველოსადმი. ცალკე ყურადღება დაეთმობა ახლადშექმნილ „კავკასიის ვილაიეთს“, რომელიც კავკასიაში დაეშის პროვინციას წარმოადგენს. კვლევის ამ ნაწილში გაანალიზებული იქნება საქართველოს მოქალაქეების გამარტივებული გადაბირებისა და რადიკალიზაციის გამომწვევი საფუძვლები და მიზეზები. ყურადღება იქნება გამახვილებული საქართველოს მოწყვლადი რეგიონების აღწერასა და დახასიათებაზე.

¹ Yasmine Hafiz, *What Is A Caliphate? ISIS Declaration Raises Questions*, Huffingtonpost. 30 June.2014
See more at : http://www.huffingtonpost.com/2014/06/30/what-is-a-caliphate-meaning_n_5543538.html

² კვლევაში „ისლამური სახელმწიფო“ აღნიშნული აბრევიატურით იქნება გამოყენებული

³ Jim Sciutto, Jamie Crawford and Chelsea J. Carter, *ISIS can 'muster' between 20,000 and 31,500 fighters, CIA says, CNN. September 12, 2014.* see more at:
<http://edition.cnn.com/2014/09/11/world/meast/isis-syria-iraq/>

კვლევის მეორე მიმართულება ეთმობა საქართველოს სახელმწიფოებრივი მზადყოფნის შეფასებას აღნიშნული საფრთხის განეიტრალების მიზნით.

კვლევის დასკვნითი ნაწილი ეთმობა რეკომენდაციების გაცემას. ამ თავის მიზანია მიაწოდოს სახელმწიფოს რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებით, რომლის საბოლოო მიზანია ტერორიზმის, კერძოდ, “ისლამური სახელმწიფოსგან” მომდინარე საფრთხის დროულად და ეფექტურად განეიტრალება. რეკომენდაციები შეეხება შემდეგ საკითხებს:

- საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ადაპტირება თანამედროვე საფრთხეებთან;
- სტრატეგიული დოკუმენტების გადახედვა და სახელმწიფო ხედვის დახვეწა და ადაპტირება თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში;
- სტრუქტურების გამჭირვალობა და მუშაობის ეფექტურობის ამაღლება;
- მოწყვლადი რეგიონების კომპლექსური შესწავლის აუცილებლობა;
- საერთაშორისო კოალიციაში აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობის გაღრმავება თურქეთთან და კოალიციის სხვა მნიშვნელოვან წევრთან;
- ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და აპრობირება.

საკვლევი დოკუმენტი რამდენიმე ძირითად მეთოდოლოგიურ მიმართულებას იყენებს.

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიიდან ყველაზე ხშირად გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუს მექანიზმი. პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს უშიშროების საბჭოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტში კომპეტენტურ საჯარო მოხელეებთან. ინტერვიუს შედეგები დოკუმენტის სხვადასხვა თავსა და ქვეთავში არის ასახული.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა ორ ფოკუს ჯგუფთან ახმეტის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, პანკისის ხეობის სოფელ დუისში.

პირველი ფოკუს ჯგუფი აერთიანებდა ახალგაზრდებს, როგორც უშუალოდ ახმეტიდან, ასევე პანკისის ხეობის 4 სოფლიდან: ჯოყოლო, ბირკიანი, ჯიბახევი და დუისი. მონაწილეობა მიიღო ათმა ახალგაზრდამ, რომელთა საშუალო ასაკი შეადგენდა 22.3 წელს. გენდერული გადანაწილების კუთხით პირველი ფოკუს ჯგუფი

აბსოლუტური სიმეტრიულობით ხასიათდება. ეთნიკური შემადგენლობის კუთხით ფოკუს ჯგუფში წარმოდგენილი იყვნენ როგორც ეთნიკურად ქართველები, ასევე ეთნიკურად ქისტები. რელიგიური ნიშნით, ჯგუფში იყვნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, ტრადიციული ისლამის და ე.წ ვაჰაბიზმის მიმდევრები. ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა წინასწარ შედგენილი კითხვარის პირობებში წარიმართა და 1.5 საათი გაგრძელდა.

მეორე ფოკუს ჯგუფი პირველისაგან თითქმის ყველა პარამეტრის მიხედვით განსხვავდებოდა. ის აერთიანებდა უზუცესებს პანკისის ხეობის 4 სოფლიდან და, უშუალოდ ახმეტიდან. ჯგუფი 12 წევრისგან შედგებოდა და მათი მესამედი მუნიციპალიტეტის სკოლისა და საბავშვო ბაღის მასწავლებლები, გამგებლები და დირექტორები იყვნენ. გენდერული ბალანსი პირველი ფოკუს-ჯგუფისგან განსხვავებით დარღვეული იყო, ქალების უპირატესობით. ჯგუფის წევრთა საშუალო ასაკი - 47, ხოლო ასაკობრივი დიაპაზონი 19 წელს შეადგენდა. ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის მიხედვით, ჯგუფი ასევე მრავალფეროვანი იყო და შედგებოდა ეთნიკურად ქართველების, ქისტების, მართლმადიდებელი ქრისტიანების, ტრადიციული ისლამისა და ე. წ. ვაჰაბიზმის მიმდევრებისგან. ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა წინასწარ შედგენილი კითხვარის პირობებში წარიმართა და 1 საათი გაგრძელდა.


ახმეტის მუნიციპალიტეტში, ასევე, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელიც აქტიურად მუშაობს პანკისის ხეობის მკვიდრთა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების, ფოკუს-ჯგუფებისა და საინფორმაციო შეხვედრების მონაწილე პირთა კონფიდენციალურობის ყველა პირობა მკაცრადაა დაცული.

დაეშისგან მომავალი საფრთხეები საქართველოსთვის

საქართველო დაეშისგან მომდინარე რამდენიმე მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დგას. უსაფრთხოების სფეროს ექსპერტებისა და საჯარო მოხელეების გარკვეული ნაწილი გამორიცხავს პირდაპირი საფრთხის არსებობას. მათ რთულად წარმოუდგენიათ სცენარი, როდესაც ბრძოლის ხაზი საქართველოს უშუალო საზღვრებთან, ან უფრო მეტიც, საზღვრის შიგნით შეიძლება გაჩნდეს. “ისლამურ სახელმწიფოს”, როგორც ყველა ფუნდამენტალისტურ ტერორისტულ ორგანიზაციას გადაჭარბებული, სურეალისტური და აპოკალიპტური გეგმები და იდეები გააჩნია. დაეშის შემთხვევაში აღნიშნული იდეალისტური ხედვა ხალიფატის პოლიტიკურ რუკას ეხება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი სამოქმედო სტრატეგია ყურადღების მიღმა უნდა დავტოვოთ.

ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხეს, 2015 წლის 24 ივნისს შექმნილი „კავკასიის ვილაიეთი“⁴ წარმოადგენს, რომელიც მოიცავს ჩრდილო კავკასიაში კარგად ცნობილი „კავკასიის იმარატის“ სამოქმედო ტერიტორიას - ჩეჩნეთს, ინგუშეთს და დაღესტანს. ვილაიეთს სათავეში "იმარატის" დაღესტნის ფრთის



ყოფილი მეთაური, აბუ მუჰამად ალ კადარი ჩაუდგა. ვილაიეთის შექმნის ფაქტი რამდენიმე მიმართულებით არის საინტერესო:

1) განადგურდა და უმნიშვნელო გახდა იმარატის არსებობა, შესაბამისად, თითქმის ყველა დარჩენილმა საველე მეთაურმა და მეზობელმა დაეშს შეჭვიცა ერთგულება; კავკასიური ემირატი 2007 წლიდან აქტიურ სამხედრო-ტერორისტულ აქტივობებს ახორციელებდა ჩრდილოეთ კავკასიაში. ემირატი ძირითადად ფუნდამენტალისტურ

⁴ ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან, "ISIS-ის კავკასიის ვილაიეთი მეტად სახიფათოა, მეზობლები, რომლებიც ადრე სირიაში მიდიოდნენ, აქ დარჩებიან და ადგილზე დაიწყებენ მოქმედებას". „კვირის პალიტრა“, 25 ივნისი, 2015.

იხილეთ სრული ინტერვიუ:

<http://www.kvirispalitra.ge/politic/25595-qisis-is-kavkasiis-vilaiethi-metad-sakhifathoa-mebrdzolebi-romlebic-adre-siriashi-midiodnen-aq-darchebian-da-adgilze-daitsyeben-moqmedebasq.html>

და სალაფიტური ჯიჰადის იდეოლოგიას ეფუძნებოდა და მიზნად ისახავდა რუსების ჩრდ.კავკასიიდან განდევნასა და ისლამური ემირატის ჩამოყალიბებას.⁵

2) ისტორიულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ახლად ჩამოყალიბებულმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ ან მისმა შედარებით ავტონომიურმა ფრთამ აუცილებლად უნდა გადადგას რაიმე სახის ნაბიჯი უახლოეს მომავალში, რათა აქტუალობა არ დაკარგოს და ყურადღების ცენტრში დარჩეს.

“ისლამური სახელმწიფოს” საერთაშორისო გააქტიურებას სხვადასხვა ფრონტზე ირიბად მოაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი საფრთხე საქართველოს უსაფრთხოებისთვის. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება შემდეგი მიმართულებით:

1) 2015 წლის სექტემბრიდან სირიის კონფლიქტი კიდევ უფრო ნაკლებად პროგნოზირებადია. მშვიდობის დამყარების სამომავლო პერსპექტივა სათუო გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა დუმისგან უპრობლემოდ მიიღო ნებართვა, სამხედრო გზით დახმარებოდა მოკავშირე ბაშარ-ალ-ასადს. თუმცა ეს არა მოკავშირის დახმარების, არამედ საკუთარი ინტერესების გატარების მორიგ სვლად შეიძლება მივიჩნიოთ. რუსეთის ჩართვა სირიის კონფლიქტში გარდა რეგიონული ინტერესებისა, განპირობებულია საერთაშორისო წნეხის მოხსნის სურვილით, რომელიც ტერორიზმთან მეზობლი სახელმწიფოს იმიჯის შექმნის შემდეგ გახდება შესაძლებელი.⁶

13 ნოემბერს, “ისლამური სახელმწიფოს” მიერ საფრანგეთში ჩადენილი მასშტაბური ტერაქტში, რომელმაც 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა აღმოჩნდა ცივილიზებული კაცობრიობისთვის 11 სექტემბრის შემდეგ. ტერორისტების ამ ნაბიჯმა მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ინტერესთა ცვლილებებს მისცა ბიძგი.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის დიდი არსენალი მისი, როგორც დაემთან მეზობლი სახელმწიფოს იმიჯის შექმნისკენ იყო მიმართული. თურქეთში გამართული დიდი ოცეულის სამიტის დროს რუსეთმა შეძლო ხელოვნურად გაეზარდა საკუთარი როლი

⁵ Mairbek Vatchagaev, *Karachaevo-Cherkessia Faces Renewed Militant Activity*, The Jamestown Foundation, September 26, 2008 see more at :

http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=5189#.VISp5nYrKUK

⁶ Shaun Walker, *Russian parliament grants Vladimir Putin right to deploy military in Syria*, 30 September, 2015.

See more at :

<http://www.theguardian.com/world/2015/sep/30/russian-parliament-grants-vladimir-putin-right-to-deploy-military-in-syria>

და ფუნქცია დაემის წინააღმდეგ კამპანიაში. მივიღეთ გარემოება, სადაც რუსეთი შეიძლება გახდეს კოალიციისა და აშშ-ის აქტიური და მჭიდრო მოკავშირე ტერორისტული ორგანიზაციის განეიტრალების გზაზე. ყოველივე ამას შეუძლია უკრაინის და საქართველოს გამო დასავლეთს და რუსეთს შორის არსებული დაპირისპირება დღის წესრიგიდან გააქროს.

2) პანკისის ხეობის, აჭარის და ქვემო ქართლის მუსულმანური თემების მოწყვლადობა ზრდის საფრთხეს რუსეთის ფედერაციის მხრიდან. რუსეთის განცხადებული პოლიტიკა, რომ ტერორისტებს უნდა ვებრძოლოთ იქ, სადაც ხდება მათი წარმოშობა, გარადიკალება და რეკრუტირება პანკისსა და მთლიანად საქართველოს მოწყვლადს ხდის რუსეთის მხრიდან ინტერვენციისადმი. შეიძლება, ერთი შეხედვით, ეს საკითხი გაზვიადებული ჩანდეს, თუმცა რუსეთის ფედერაცია დაუფიქრებლად გამოიყენებს საქართველოს ამ სისუსტეს პანკისის ხეობაში სასურველ დროს ინტერვენციის მოსახდენად. რუსეთს ამისთვის შემდეგი პოტენციური არგუმენტები გააჩნია: (ა) პანკისის ხეობა შეიძლება წარმოადგენდეს აქტიურ და პოტენციურ წყაროს რეკრუტირებისთვის; (ბ) პანკისის ხეობა შეიძლება წარმოადგენდეს ჩრდილო კავკასიელი (ამ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებული იქნება კავკასიის ვილაიეთზე) ტერორისტული დაჯგუფებების უსაფრთხო თავშესაფარს.

თუ გავითვალისწინებთ ჩეჩნეთის რესპუბლიკის ამჟამინდელი ლიდერის რამზან კადიროვის სიძულვილს პანკისელებისა და ზოგადად ვაჭაბიზმის მიმდევრებისადმი, ინტერვენციის საბაზის მოძიება ამ მიმართულებით მოსკოვისთვის წარმოუდგენლად რთული ნამდვილად არ უნდა იყოს. განსაკუთრებით ყურადსაღები იყო მცირე ხნის წინ კადიროვის განცხადება, როდესაც მან საქართველოსთან საზღვარი მონახულა და ღიად დაიმუქრა, რომ საზღვარს საქართველოდან ტერორისტები ვერ გადალახავდნენ.⁷

3) 24 ნოემბერს რუსეთის მიერ თურქეთის საჰაერო სივრცის დარღვევამ და თურქეთის ბომბდაშენის მიერ რუსული საჰაერო სამუალების ჩამოგდებამ გაზარდა რეგიონში დიდი ძალების დაპირისპირების და რუსულ-თურქული კონფრონტაციის შანსი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინციდენტები ახალია და მათგან გამოწვეული საფრთხეების ანალიზი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ფაქტია, რომ ჩვენს სამეზობლოში

⁷ “Across the border with Georgia, the terrorists in Chechnya will not be held, Kadyrov said”, [freenews.xyz](http://freenews.xyz/2015/10/20/across-the-border-with-georgia-the-terrorists-in-chechnya-will-not-be-held-kadyrov-said/) October 20,2015. See more at: <http://freenews.xyz/2015/10/20/across-the-border-with-georgia-the-terrorists-in-chechnya-will-not-be-held-kadyrov-said/>

კონფლიქტის ინტენსიფიკაცია სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევა იქნება საქართველოს უსაფრთხოებისთვის.

4) 23 ნოემბერს გავრცელებულმა ვიდეო მიმართვამ, რომელშიც საქართველოდან სირიაში ჩასული 4 ახალგაზრდა მიმართავს საქართველოს მოსახლეობას და სისხლისღვრით, ქაფირებისთვის “თავების მოჭრით” და ჯიჰადით იმუქრება, საკმაოდ რთული სანახავი და აღსაქმელი აღმოჩნდა. ეს იყო პირველი ამგვარი ტიპის ღია მუქარა, რომელსაც აუცილებლად უნდა შეეშფოთებინა შესაბამისი უწყებები და ზოგადად მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ვარაუდით, ტერორიზმის საფრთხე საქართველოს წინაშე ძალიან მაღალი არ არის, არსებობს იმის ალბათობა, რომ ხელსაყრელი პირობების შექმნის და სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო ყურადღების მიქცევის შემთხვევაში, შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეული ტერორისტული აქტებიც განხორციელდება. ამის ალბათობას ისიც ზრდის, რომ საქართველოს ტერორისტების წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით ბრძოლის, განსაკუთრებით კი მასობრივი თავშეყრის ადგილების დაცვის დიდი გამოცდილება არ გააჩნია.

ასევე აღსანიშნავია, რომ დაეშმა საკმაოდ საინტერესო სტრატეგიას მიმართა თავისი უკანასკნელი რამდენიმე განცხადებით. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივი რეკრუტირება მისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, მას ფიზიკურად აღარ შეუძლია დიდი რაოდენობით ჯარისკაცების მიღება და შენახვა. აქედან გამომდინარე, დაემის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ხალიფატის შექმნის იდეისათვის მათ ადგილზევე შეუძლიათ რომ იბრძოლონ. ამ გზით “ისლამური სახელმწიფო” ცდილობს მიაღწიოს ორ მიზანს:

(1) ორგანიზაციამ შეინარჩუნოს ძლიერების სიმბოლიზმი საკუთარი თანამოაზრეების თვალში;

(2) ადგილზე გააქტიუროს მხარდამჭერები და ომი უფრო მეტად ტოტალური და დაქსაქსული გახადოს (ეს მეთოდი ასევე გამოიყენა სხვა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, ყველაზე წარმატებით ალ-ქაედამ).

შედეგად იმ მეზობლებს, რომლებსაც სირიასა და ერაყში უხდებოდათ საბრძოლველად წასვლა ხალიფატის შექმნის იდეოლოგიით, დღეს იგივე საქმის გაკეთება საკუთარ რეგიონში შეუძლიათ.

საქართველოს მოქალაქეების რეკრუტირება და გადინება

ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის მოხსენებაში ტერორიზმის შესახებ აღნიშნულია, რომ პანკისის ხეობიდან და მაღალმთიანი აჭარიდან წასული საქართველოს 50-100 მოქალაქე დაემის რიგებში იბრძვის.⁸ ამ სფეროს მკვლევარები საქართველოშიც დაახლოებით იგივე რაოდენობას ასახელებენ, საჯარო მოხელეებს კი აღნიშნული სტატისტიკა უფრო დაბალ ნიშნულამდე დაჰყავთ.

საქართველოდან მოქალაქეების რეკრუტირება შემდეგ საფრთხეებთან არის დაკავშირებული:

1) საქართველოდან მოქალაქეების რეკრუტირება სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს და ანადგურებს წლების განმავლობაში ნაშენებ რეპუტაციას, როგორც დასავლეთის პარტნიორის და ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოსი. ამასთან, დაემისთვის მებრძოლების წყაროდ ყოფნა ამცირებს ჩვენს შანსებს ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაციის კუთხით, მათ შორის, კონკრეტული სიკეთეების, მაგალითად, უვიზო რეჟიმის მიღების მხრივ. ეს განსაკუთრებით აქტუალური შეიძლება გახდეს პარიზის ტერორისტული აქტის შემდეგ, რომელშიც, როგორც ცნობილია, მიგრანტები მონაწილეობდნენ.

თარხან ბათირაშვილი (ომარ-ალ-შიშანი)
დაიბადა 1986 წელს პანკისის ხეობის სოფელ ბირკიანში. ბათირაშვილს ჰყავს ქრისტიანი მამა და მუსლიმი დედა. სკოლის დამთავრების შემდეგ ქართულ არმიას შეუერთდა. იგი მსახურობდა ქართულ ჯარში დაზვერვის სერჟანტად. მონაწილეობა აქვს მიღებული ჩეჩნეთის მეორე ომსა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთის წინააღმდეგ.
"მწითური გენერლის" ფსევდონიმით ცნობილი შიშანი დიდი ისლამური სახელმწიფოს ჩრდილოეთ სექტორის, ერაყსა და სირიაში მებრძოლი რადიკალი ისლამისტების მეთაურია.
მისი ლიკვიდირების შესახებ ინფორმაცია რამდენიმეჯერ გავრცელდა, თუმცა დაზოუსჯობით არ არის ცნობილი.

2) განსაკუთრებული პრობლემაა რეკრუტების რადიკალიზაცია და ქვეყნის შიგნით ტერორისტული აქტების განხორციელების ალბათობა. ძირითადი პრობლემა რეკრუტირებული და იდეოლოგიზირებული მეომრის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩნდება, როდესაც ის რადიკალიზაციის პოტენციურ წყაროს წარმოადგენს. როგორც პანკისის ხეობაში მცხოვრები ადგილობრივები აღნიშნავდნენ,⁹ დღეისთვის მინიმუმ 5 მებრძოლი დაუბრუნდა თავიანთ ოჯახებს და დღესაც პანკისის ხეობის სოფლებში ცხოვრობენ.¹⁰ აქვე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ადამიანი (დავით

⁸ Bureau of Counterterrorism, *Country Reports on Terrorism 2014*, Released June 2015. See full document at: <http://www.state.gov/documents/organization/239631.pdf>

⁹ რეპორტაჟი პანკისის ხეობიდან - „რამდენად დაცულია საქართველოს უსაფრთხოება, გვემუქრება თუ არა ტერორისტული აქტები და რაში ხედავენ პანკისელები გამოსავალს?“ პოლიტკომერსანტი, 10 ოქტომბერი, 2015 <http://politcommersant.ge/detailpage?newsid=1677#sthash.7YDofklu.dpuf>

¹⁰ ინტერვიუ პანკისის ხეობის სოფელ დუისის მაცხოვრებლებთან, სექტემბერი 2015.

ბორჩაშვილი), რომელიც დაუდასტურებელი ინფორმაციით სირიიდან დაბრუნდა 2015 წლის 22 ნოემბერს იქნა დაკავებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ.¹¹ ამ პიროვნების წინააღმდეგ გამოძიება აქვს დაწყებული კონტრ-ტერორისტულ დეპარტამენტს. ქვეყნის შიგნით ტერორისტული აქტების განხორციელების კუთხით, განსაკუთრებით გაიზარდა საფრთხე მას შემდეგ, რაც 23 ნოემბერს დაემის მონაწილე ოთხმა ახალგაზრდამ ვიდეო-მიმართვა გაავრცელა, რომელშიც ღია მუქარა იყო გამოხატული საქართველოს არამუსულმანური მოსახლეობის წინააღმდეგ.

3) დაბრუნებული მეომრების სამოქალაქო რესოციალიზაცია და ინტეგრაცია ძალიან რთული პროცესია, განსაკუთრებით ისეთ კომპაქტურ თემებში, რომლებშიც საქართველოში მცხოვრები მუსლიმები ცხოვრობენ. ევროპის დიდი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საიდანაც ასობით და ათასობით რეკრუტი მიემგზავრება სირიაში, საქართველოს შემთხვევა სპეციფიურია მუსულმანური კომუნების სიმცირის და შეკრულობის გამო. პანკისის ხეობის შემთხვევაში გეოგრაფიულად მჭიდროდ დასახლებული სოფლების მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კარგად იცნობს ერთმანეთს და ერთ სოციალურ კომუნად არის ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, პანკისის ხეობის ახალგაზრდებმა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, კარგად იციან სირიაში გამგზავრებული თითოეული თანატოლის შესახებ. საბრძოლველად წასული ახალგაზრდა, წარმატების მიღწევის შემთხვევაში მისაბამი პიროვნება ხდება თავისი სამეგობრო წრისა და თანატოლებისათვის.

რუსლან მაჩალიკაშვილი (სეიფულლაჰ ალ-შიშანი) - საქართველოს მოქალაქე, დაიბადა პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში.

2001-2002 წლებში მაჩალიკაშვილი აქტიურად იყო ჩართული ხეობაში ადამიანების გატაცებისა და ნარკოტრეფიკინგის საქმიანობაში. ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ მან დატოვა საქართველო და თურქეთში გადაიხვეწა სადაც განაგრძო კრიმინალური ცხოვრება.

2011 წლიდან - 2014 წლამდე მაჩალიკაშვილი სხვა სამ ქისტთან ერთად ხელმძღვანელობდა ემიგრანტ მოჯაჰედთა ბრიგადებს და ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ეჭირა.

ამ შემთხვევაში პანკისიდან წასული რამდენიმე ადამიანი შეიძლება მივიჩნიოთ გავლენის აგენტებად. განვიხილოთ თარხან ბათირაშვილის მაგალითი. ბათირაშვილი, რომელიც აშშ-ს ტერორისტთა შავ სიაში მოხვდა და ცნობილია როგორც დაემის ე.წ თავდაცვის მინისტრი, პანკისელ ახალგაზრდებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩვენს მიერ ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ თარხან ბათირაშვილი დაახასიათა,

¹¹ „დავით ბორჩაშვილი ტერორიზმთან კავშირის ბრალდებით დააკავეს“, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო გამოშვება 22 ნოემბერი, 2015-21:08. იხილეთ ვრცლად: <http://rustavi2.com/ka/video/10748?v=2>

როგორც „გმირი“, „მებრძოლი“, „საუკეთესო მეგობარი“, „ძლიერი ადამიანი“, „მისაბადი პიროვნება“ და ა.შ. ეს მცირე ჩამონათვალიც კი კმარა განწყობის შესაფასებლად. აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდები არ იყვნენ დადებითად განწყობილნი “ისლამური სახელმწიფოს” მიმართ, თუმცა უდიდესი სიმპათია ჰქონდათ თარხან ბათირაშვილის მიმართ¹². აქედან გამომდინარე, რეკრუტირების პროცესის ანალიზისას, სხვა პრობლემებთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ პიროვნული მიმბაძველობა პანკისის და, სავარაუდოდ, სხვა მუსულმანური კომუნების შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს. პრობლემა უფრო რთულდება, როდესაც ასეთი მისაბადი ფიგურები პატარა, არასრულყოფილად ინტეგრირებულ, მოწყვლად რეგიონებს არა ერთი, არამედ რამდენიმე ჰყავთ. მაგალითად, ერაყსა და სირიაში მაღალი ავტორიტეტით ბათირაშვილის გარდა გარდა მურად მარგოშვილი და რუსლან მაჩალიკაშვილი სარგებლობენ. ეს უკანასკნელი გარდაცვალების შემდეგ ერთგვარ მითიურ „გმირადაც“ კი იქცა.

მურად მარგოშვილი (აბუ ვალიდ ალ-შიშანი/მუსლიმ ალ-შიშანი) - გავრცელებული ინფორმაციით, საბჭოთა კავშირის დროს პერიოდში ის მოლდოვაში მსახურობდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ათი წელი ჩეჩენი ამბოხებულების მხარდამხარ იბრძოდა.

2003 წელს მარგოშვილის რუსეთის სპეც-სამსახურებმა დააკავეს, თუმცა ბუნდოვანი მიზეზების გამო 2 წელიწადში გაამართლეს. ამის გამო მისი აიელირება რუსეთის უსაფრთხოების სამსახურებთან საკმაოდ ლოგიკურია.

მარგოშვილი ალ-ნუსრას ფრონტზე ლეგიონ „ჯუნუდ ალ-შამს“ მეთაურობს. ხაზინის დეპარტამენტმა ისიც შავ სიაში შეიყვანა.

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა, სირიასა და ერაყში თურქეთის გავლით ხვდება. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, საზღვარზე კონტროლი ბოლო თვეებია გამკაცრდა. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები, საფუძვლიანი ეჭვის ნიადაგზე საზღვრის გადაკვეთის მსურველი პირის ოჯახთან ცდილობენ გარკვევას, თუ რა მიზნით მიდის ესა თუ ის პირი თურქეთში. ადგილობრივების ცნობით, რეკრუტირების ძირითადი პროცესი

ხეობაშივე სრულდება, საზღვრის გადაკვეთის შემდეგ რეკრუტებს თავს უყრიან სტამბოლში, აქსარაის ავტოსადგურში და შემდეგ სირიაში მიჰყავთ.¹³

¹² ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა პანკისის ხეობის სოფელ დუსისში, სექტემბერი, 2015.

¹³ ბაკო ხელაძე, „სირიის სასაკლავო პანკისელი და აქარელი შაჰიდები „მათ სტამბოლში, აქსარაის ავტოსადგურში, სპეცმოდერები ამზადებენ“, postalion.ge, 20 ოქტომბერი, 2014.


იხილეთ სტატია: <http://goo.gl/r57rsR>

ასევე იხილეთ: ნინო ბურჭულაძე, *პანკისი-სირიის სასიკვდილო მარშრუტი*, კვირის პალიტრა, 4 აპრილი. 2015

იხილეთ სტატია: <http://www.kvirispalitra.ge/versia/24801-pankisi-siriis-sasikvdilo-marshruti-qamboben-is-khalkhi-ushishroebasthan-aris-shekrulioq.html>

საქართველოს მოწყვლადი რეგიონები: პანკისის ხეობის მაგალითი

მნიშვნელოვანია პანკისის ხეობის საფუძვლიანი შესწავლა და სურათის ნათლად გაანალიზება, რადგან სწორედ პანკისის ხეობიდან ხდება ახალგაზრდების ყველაზე დიდი რაოდენობით გადინება სირიასა და ერაყში. მიუხედავად ამისა, პანკისის ხეობა არ არის ერთადერთი ადგილი, საიდანაც რეკრუტები სირიაში მიემგზავრებიან. 23 ნოემბერს გავრცელებულ ვიდეოში ჩანან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში და ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდები. თუმცა, ამ კვლევაში ჩვენ განსაკუთრებით პანკისის



პანკისის ხეობის გეოგრაფიული რუკა, გადაღებულია „Google Map-ის“ აპლიკაციის საშუალებით

ხეობას ვეხებით, რადგან სწორედ აქედან არიან დაემის მაღალ საფეხურებზე მდგომი მებრძოლები.¹⁴

პანკისის ხეობა კახეთის რეგიონში, კერძოდ ახმეტის მუნიციპალიტეტში მდინარე ალაზნის ველზე მდებარეობს. იგი შემოფარგლულია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებებით. პანკისის დასავლეთით, თიანეთის ზეგანზე ძირითადად ხევსურები სახლობენ, ხოლო აღმოსავლეთით თუშეთის ქვაბულში კი - თუშები.

ხეობის პირველი სოფელი მატანია, რომელიც ძირითადად მთიელი ქართველებით, ოსებითა და ფშაველებით არის დასახლებული. მატანის შემდეგ ეთნიკური ქართველებითა და ოსებით დასახლებული სოფლებია - ბახლოვერი, ქორეთი, საკობიანო, წინუბანი და ყვარელწყალი. ქისტური სოფლების დაწყებამდე გეოგრაფიულად გამყოფ სახასიათო ხიდს ვხვდებით, რომელიც მდინარე ალაზანზეა გადაებული.

ქისტებით დასახლებული პირველი სოფელია დუისი, რომელიც ასევე პანკისის ადმინისტრაციული ცენტრია.

¹⁴ მიშა მეფარიშვილი, „ერთ-ერთი პირი, რომელიც საქართველოს ISIS-ის სახელით ემუქრება ხვიჩა გობაძე“, netgazeti.ge, 23 ნოემბერი, 2015. იხილეთ სრულად: <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/52655/>

დუისი, შეიძლება ითქვას, რომ ერთი გრძელი ქუჩის გარშემო განაშენიანებულ დასახლებას წარმოადგენს, რომლის გაგრძელებას სხვა ქისტურ სოფლებთან (ჯოყოლო, ბირკიანი და ჯიბახევი) მივყავართ.

ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით ახმეტის მუნიციპალიტეტში ქართველები ჭარბობენ 35 სოფელში, ოსები - 13 სოფელში ხოლო ქისტები კი 8 სოფელში.

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების საერთო მოსახლეობა 33,070-ია. საიდანაც 69,7 %-ი ქართველია, ხოლო 20,9 % ქისტი.¹⁵

დასახლებული პუნქტი	მუდმივი მოსახლეობა	რიცხოვრივად უპირატესი ეროვნება	%
დუისის თემის საკრებულო	4367	ქისტი	78
წინუბანი	264	ქისტი	77
ჯოყოლო	1228	ქისტი	79
ბირკიანი	910	ქისტი	93
ომალო	1221	ქისტი	97

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სოფლების მოსახლეობა. ტომი II ¹⁶

პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები ძირითადად სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან. აქ 1990-იან წლებში ე.წ ვაჰაბისტურმა მიმდინარეობამ იჩინა თავი, რომელიც დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, ძალებს იკრებს ხეობაში და რადიკალიზაციის, გამარტივებული რეკრუტირებისა და იდეოლოგიური განხეთქილების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ.

ვაჰაბიზმი შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც ტრადიციულ ისლამს (სუნიტებსა და შიიტებს) უპირისპირდება. იგი XVIII საუკუნის შუა წლებში საუდის არაბეთში აღმოცენდა. მისი დამაარსებელია მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბი, რომელიც თავის მოძღვრებასა და რელიგიურ პრაქტიკას “სუფთა ისლამს” უწოდებდა და რწმენის ერთადერთ წყაროდ ყურანს მიიჩნევდა. ვაჰაბიზმი ილაშქრებს ტრადიციული ისლამის წინააღმდეგ, რომელიც, ისეთ ელემენტებს შეიცავს, რაც

¹⁵ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სოფლების მოსახლეობა ტომი II. იხილეთ მონაცემები:

http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/census/2002/II%20tomi%20.pdf

¹⁶ Ibid, 15

ყურანში მოცემული არ არის. ვაჰაბიზმი ასევე ქადაგებს მსოფლიოს ისლამიზაციის იდეას, რაც მისმა მიმდევრებმა აიტაცეს და მეზობელ ქვეყნებში დაწერეს.

ვაჰაბისტთა ცნობიერებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჯიჰადს. ვაჰაბისტები ქმნიან თანამოაზრეთა თემებს — ჯამათებს, რომლებსაც ცხოვრების მკაცრი რეგლამენტი აქვთ. ჯამათი უპირისპირდება იმ ისლამურ საზოგადოებას, რომელიც საერო კულტურაზე, ზოგად განათლებაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე უარს არ ამბობს. ჯამათის წევრებს რჯულისადმი ტოტალური მორჩილება და საბრძოლო მზადყოფნა ევალებათ.¹⁷

პანკისის ხეობის გამოწვევები

აღნიშნული ქვეთავი ეყრდნობა იმ ინფორმაციასა და ხედვას, რომელიც ხეობაში განხორციელებული კვლევის, მათ შორის, ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისგან და ინტერვიუებისგან მოვიპოვეთ. დღეისათვის პანკისის ხეობაში რამდენიმე ფუნდამენტური გამოწვევა შეიძლება გამოვყოთ, რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდების რადიკალიზაციას და ამარტივებენ გადაბირების პროცესს:

1) განათლება

პანკისის ხეობაში 4 სკოლა და ბაგა-ბაღია, თუმცა ხეობაში განათლების ხარისხი საკმაოდ დაბალია. როგორც რამდენიმე სკოლის დირექტორმა და მასწავლებელმა აღნიშნა, უფროსკლასელების (ძირითადად ბიჭები) დიდი ნაწილი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების მიმართ პესიმისტურად არის განწყობილი.¹⁸ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სკოლის მოსწავლეები არ დადიოდნენ სკოლაში პარასკევებით, რაც მეჩეთში ყოფნითა და ხანგრძლივი ლოცვით აიხსნებოდა. საგანმანათლებლო პროგრამებისა და ღონისძიებების ნაკლებობა ხელს უწყობს ფუნდამენტური-რადიკალური იდეების გავრცელებას. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც არაბული სახელმწიფოები ყურანისა და ვაჰაბიზმის გავრცელების მიზნით აფინანსებენ სხვადასხვა პროგრამაში ჩასართველად პანკისელ ახალგაზრდებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პროცესს

¹⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, *რელიგიები საქართველოში*, თბილისი 2008. იხილეთ :

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi_Saqartveloshi.pdf

¹⁸ ინტერვიუ სოფელ დუისის სკოლის მასწავლებლებთან და დირექტორებთან, სექტემბერი 2015.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა და ზოგადად სახელმწიფო უწყურადღებოდ ტოვებს.

2) ეკონომიკური გარემო

ეკონომიკური პირობების შეფასების კუთხით ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ არათუ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ აგროვებს სტატისტიკას იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანი არის დასაქმებული, რა არის შემოსავლის საშუალო დონე და ძირითადი წყარო, არამედ მსგავსი შინაარსის ინფორმაცია საქართველოს ეროვნულის სტატისტიკის სამსახურსაც არ გააჩნია. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ეს ფაქტი ახსნილ იქნა იმ არგუმენტით, რომ მსგავსი პარამეტრებით კვლევის ჩატარება ზედმეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ეკონომიკური გარემოს შეფასებისათვის ერთადერთ წყაროდ ადგილობრივი მოსახლეობა და ფოკუს-ჯგუფები შეიძლება მივიჩნიოთ.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ეკონომიკური პირობები და უმუშევრობის დონე საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ახალგაზრდების გადინების პროცესს. “ისლამურ სახელმწიფოში” მეზრძოლ ოჯახთა უმრავლესობა, ადგილობრივთა აზრით, უფრო მეტად არიან ეკონომიკურად შეძლებულნი, ვიდრე ხეობის სხვა ოჯახები. გარდა ამისა, სახეზე გვაქვს ეკონომიკური სეგრეგაცია, რომელიც რელიგიური ნიშნით არის განპირობებული. ვაჰაბიტები სხვადასხვა უცხოური დახმარებების პირობებში ეკონომიკურად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე მათი ქრისტიანი თუ ტრადიციული სუნიტური ისლამის მიმდევარი მეზობლები.

3) ადგილობრივი თემობრივი და რელიგიური გარემო

პანკისის ხეობაში ისლამის სხვადასხვა მიმართულების მიმდევრების ზუსტი პროცენტული სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ადგილობრივები (როგორც ახალგაზრდები, ისე უხუცესები) აღნიშნავენ, რომ ვაჰაბიზმის მიმდევართა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ვაჰაბიზმი ახალგაზრდების იდეოლოგიურ ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს და საბოლოოდ ტრადიციული ისლამის მიმდევრებთან დაპირისპირებით სრულდება. პანკისის ხეობაში დღეს 5 მეჩეთია. იმამების უმრავლესობას განათლება საუდის არაბეთში აქვს მიღებული. დაუდასტურებელი

ინფორმაციით, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას გააჩია, სწორედ აღნიშნული სახელმწიფოს მხრიდან ხდება სწავლის და ზოგ შემთხვევაში ერთჯერადი თუ მრავალჯერადი დაფინანსება.¹⁹

ადგილობრივების გარკვეული ნაწილი “ისლამურ სახელმწიფოში” ახალგაზრდების გადინებას ვაჭაბიზმის გავრცელებას უკავშირებს. ახალგაზრდები რომლებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ განათლებას და არც თუ სახარბიელო პერსპექტივები აქვთ სახელმწიფოს მხრიდან, მარტივად ექცევიან რადიკალური იდეების გავლენის ქვეშ.

4) თაობებს შორის უფსკრული

ფოკუს-ჯგუფების გამართვის დროს, თვალშისაცემი იყო დაემის მიმართ დამოკიდებულებებში რადიკალური განსხვავებები ახალგაზრდებს და უცუხესებს შორის. როგორც უკვე ითქვა, ახალგაზრდების ნაწილი სირიასა და ერაყში წასულ თანასოფლელებს დადებითად აფასებს. მათი ძირითადი არგუმენტაცია თუ რატომ მიდიან ახალგაზრდები სირიაში ეხება სახელმწიფოს ინდიფერენტულობას, განვითარების ნაკლებ შანსებს და ზოგად ეკონომიკურ უპერსპექტივობას. ვაჭაბისტების შემთხვევაში ამ ყოველივეს ემატება იდეოლოგიური და რელიგიური გამამართლებელი არგუმენტები.

განსხვავებით ახალგაზრდებისგან, უხუცესები (მათ შორის, ვაჭაბიტები) კარგად აცნობიერებენ იმ დანაშაულს, რასაც მათი თანასოფლელები სჩადიან სირიაში. ფოკუს-ჯგუფის დროს არ დასახელებულა ერთი ჰიპოთეტური არგუმენტიც კი, რომელიც “ისლამურ სახელმწიფოში” წასულ მებრძოლთა გასასამართლებლად გამოდგებოდა.

ახალგაზრდების აზრთა ფორმირებას სწორედ ის გავლენის აგენტები ახდენენ, რომლებზედაც უკვე ვისაუბრეთ. ხეობაში გავრცელებული ინფორმაციით, არის რამდენიმე ადამიანი, რომელიც დაბრუნდა სირიიდან და ჩვეულებრივად განაგრძობს ხეობაში ცხოვრებას, ლოგიკურია, რომ ასეთი ადამიანებიც შეიძლება მოგვევლილონ გავლენის აგენტებად.

¹⁹ ინფორმაცია ეფუძნება ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერვიუებსა და შეფასებებს. მათ შორის საგანმანათლებლო და სასულიერო დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

სახელმწიფო პოლიტიკა ხეობის მიმართ

სახელმწიფო პოლიტიკა პანკისის ხეობის მიმართ, მიუხედავად აქ არსებული მრავალი პრობლემისა, საკმაოდ ინდიფერენტულია. აღნიშნულის მიზეზად უსაფრთხოების საერთო ხედვის არ არსებობა მიგვაჩნია. 2014 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჩასვლას პანკისში და სხვადასხვა დაპირებებს საწარმოების გახსნასთან დაკავშირებით არანაირი განვითარება არ მოჰყოლია. ამასთან, ხეობაში განხორციელდა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, მაგალითად დაიგო 6.31 კილომეტრის სიგრძის გზა, რომლის საერთო ღირებულებაც შეადგენდა 116 836 ლარს.²⁰ ნათელია, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია კომპლექსური სტრატეგია პანკისის ხეობის პრობლემების დაძლევისათვის. როგორც ადგილობრივები აღნიშნავენ, მეტი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის, განათლების სისტემის გამართვისთვის, საინფორმაციო კამპანიების ჩატარებით სახელმწიფო ნაკლებად არის დაინტერესებული. პრობლემების საფუძვლიანი ანალიზისთვის აუცილებელია სხვადასხვა სახის პარამეტრები (ეკონომიკური ვითარების შეფასებისათვის სხვადასხვა სტატისტიკის არსებობა, ხეობიდან სირიაში წასული ახალგაზრდების რაოდენობა და ა.შ). ჩვენ შემთხვევაში კი მსგავსი სახის პარამეტრები უბრალოდ არ არსებობს.

უსაფრთხოების მიმართულებით შეიძლება გამოვყოთ ბოლო სპეცოპერაცია რომელიც მიმდინარე წლის ივნისში ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ამ სპეც. ოპერაციის დროს 100-მდე სპეცრაზმელმა შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე დააკავა აიუფ ბორჩაშვილი, თარხან ბათირაშვილის ნათესავი, რომელსაც ბრალი ედება ხეობაში ახალგაზრდების რეკრუტირებასა და სირიაში გადაყვანისათვის.²¹ ასევე პარალელურად თბილისში დააკავეს გიორგი კუპრავა, რომელსაც იგივე ბრალი წაუყენეს.²²

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაკავებები აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ისინი საკმაოდ უარყოფით გავლენას ახდენს პანკისის ხეობაში არსებული მოსახლეობის განწყობაზე. განსაკუთრებით დიდია უნდობლობა სამართლამცველი ორგანოების მიმართ ლაფანყურის ოპერაციის შემდეგ. ადგილობრივ ქისტებთან საუბრისას, საგრძნობი

²⁰ პრემიერ-მინისტრის განცხადების სისწორის დადგენა, Factcheck.ge, 21 ნოემბერი, 2014. <http://factcheck.ge/article/pankisis-kheobashi-mnishvnelovani-inphrastruqturuli-proeqtebi-gankhortsielda/>

²¹ “სპეცოპერაცია პანკისის ხეობაში – დაკავებულია ჯოყოლოს იმამი”, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, 15 ივნისი 2015. იხილეთ: <http://ick.ge/articles/22271-i.html>

²² ბრძოლა ISIS-თან-დაკავებული ქართველები და მათ ნათესაობაზე შესაძლო ზეწოლის ფაქტები, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო გამოშვება, 18 ოქტომბერი, 2015, 21:41 იხილეთ: <http://rustavi2.com/ka/news/29294>

იყო მათი უკმაყოფილება ლაფანყურის ოპერაციის საკითხების ირგვლივ. ის ფაქტი, რომ კომისიას არ გამოუქვეყნებია საბოლოო დასკვნები მათ გაღიზიანებას იწვევს. ოპერაცია 2012 წლის 28 აგვისტოს, გვიან ღამით დაიწყო. სპეცოპერაცია ლაფანყურის ტყიდან 5 ახალგაზრდის გატაცებას მოჰყვა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდები 26 აგვისტოს დაიკარგნენ. შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ოპერაციისას დაიღუპა შსს-ს ორი თანამშრომელი და სამხედრო ექიმი, დაიჭრა 5 ქართველი სპეცრაზმელი, მოხდა 11 დივერსანტის ლიკვიდაცია, 6 კი - ალყაში ჰყავდათ მოქცეული. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ შეიარაღებული ჯგუფიდან ლიკვიდირებული იყო 7 წევრი, მათ შორის საქართველოს 2 მოქალაქე.

დაეშის მხარდამჭერთა გააქტიურება საქართველოში და რეკრუტირების ინსტრუმენტები

დაეშის მხარდამჭერთა რაოდენობა ინდივიდუალურად და ერთეული შემთხვევებით, თუმცა მაინც იზრდება. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი იდეოლოგიური მიზეზებისა და ზოგადად დაეშის მხრიდან არსებული რეკრუტირების აქტიური სტრატეგიისა, აღსანიშნავია რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელიც აქტიურად გამოიყენება დაეშის მხარდამჭერების მიერ.

ინტერნეტ რესურსები:

დაეშის წარმომადგენლები აქტიურად იყენებენ ვებ რესურსებს. შექმნილია ხალიფატის ქართულენოვანი საინფორმაციო ვებ-გვერდი (<https://xalifati.wordpress.com/>), რომელიც მოიცავს ძალადობრივ მიმართვებს, ასევე სიახლეებს, ფოტო და ვიდეო მასალას. აღსანიშნავია, რომ ეს ვებ-გვერდი საკმაოდ დიდი ხანია არსებობს.


ჩვენი დაკვირვების შედეგად მარტივად დგინდება, რომ ვებ გვერდზე ინფორმაცია ყოველ დღე ახლდება. გარკვეულ კითხვებს იწვევს ვებ-გვერდით შესაბამისი უსაფრთხოების სამსახურების გვიანი დაინტერესებს. კარგად გვესმის, რომ შესაძლებელია ამგვარი ვებ-გვერდის არსებობა უსაფრთხოების სამსახურის ინტერესში იყოს, რათა უფრო ოპერატიულად გამოვლინდნენ ვებ-გვერდზე შემსვლელი ადამიანები და მეტი ოპერატიული მასალა იქნას მოგროვებული. თუმცა, ამკარად კითხვის ნიშნებს ტოვებს ის ფაქტი, რომ ვებ-გვერდის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელების შემდეგ, მიუხედავად უშიშროების სამსახურის უფროსის

მოადგილის ლევან იზორიას განცხადებისა, რომ დაწყებულია გამოძიება და შესაძლოა ვებ-გვერდი დაიხუროს, რამდენიმე კვირის განმავლობაში საიტი ჯერ კიდევ მუშაობს. უფრო მეტიც, ქართველი ჯიჰადისტების ცნობილი მუქარანარევი მიმართვა სწორედ ამ ვებ რესურსზე გავრცელდა 2015 წლის 23 ნოემბერს.

ამავე ვებ-გვერდზე მითითებულია რამდენიმე ინტერნეტ რესურსის მისამართი, სადაც მკითხველებს შეუძლიათ მეტი ინფორმაციის მიღება დაეშის შესახებ. სოციალურ ქსელში შექმნილია ფეისბუქ ჯგუფი „დაულა“ რომელიც 2,000-ზე მეტ წევრს აერთიანებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის წევრთა 95%-ზე მეტი არ წარმოადგენს პოტენციურ საფრთხესაც კი, ის მაინც არის ინფორმაციისა და იდეების გავრცელების წყარო.

თავშეყრის ადგილები:

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტად დადასტურებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სად და რა მეთოდებით ხდება ახალგაზრდების გადაბირება, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელია დასკვნების გაკეთება, თუ რა ტიპის აქტივობების შედეგად ხდება რეკრუტირება. ჩვენს მიერ გამოკითხული რამდენიმე ადამიანი ადასტურებს, რომ ფუნდამენტური ისლამის მიმდევარი ახალგაზრდების “დამუშავება” ხდება ზემო მთიან აჭარაში, ასევე პანკისის ხეობაში არსებულ მუსულმანურ დაწესებულებებში, სავარაუდოდ კონკრეტულ სალოცავებში. აქვე ხაზგასასმელია, რომ არსებობს ძალიან დიდი უთანხმოება ტრადიციულ მუსულმან ხელმძღვანელობებს (მუფტები, მოლები) და ფუნდამენტური ისლამის მიმდევრებს შორის. მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში გავრცელებულ ერთ ინტერვიუში ერთ-ერთი ფუნდამენტალისტის ახლობელი ამბობს, რომ ფუნდამენტური ისლამის მიმდევრები ცალკე იკრიბებიან და არ დადიან ისეთ ადგილებში, სადაც ტრადიციული ისლამის მიმდევრები ლოცულობენ და იკრიბებიან.²³ აქედან გამომდინარე, რეკრუტირებისთვის და



აღნიშნული ინფორმაციის შემცველი ფოტო გავრცელდა ჯგუფ "დაულაში" პარიზში მომხდარი ტერაქტის შემდეგ.

²³ინტერვიუ ილია გობაძესთან. „პალიტრა ტვ“, 23 ნოემბერი, 2015
<http://www.palitrav.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/65569-ras-hyveba-shvilze-qislamuri-sakhelmtsifosq-sakhelith-gavrcelebuli-muqaris-avtoris-mama.html>

შეხვედრებისთვის, როგორც წესი, არ გამოიყენება ტრადიციული მუსლიმური სალოცავი ადგილები, მაგ. მეჩეთები.

უცხოეთში რეკრუტირება:

სხვადასხვა ცნობით, არის რამდენიმე ათეული შემთხვევა, როდესაც აჭარაში, ქვემო ქართლში და პანკისის ხეობაში მცხოვრები მუსლიმი ახალგაზრდები რელიგიური ცოდნის გასაღრმავებლად და სასწავლებლად მიემგზავრებიან სხვადასხვა მუსულმანურ სასწავლებლებში, ირანში, საუდის არაბეთში, თურქეთსა და სირიაში.²⁴ როგორც წესი, ამ სასწავლებლებში იოლია მათი რადიკალიზაცია. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მსგავსი დაწესებულება პრობლემურია, თუმცა, ფაქტია, რომ რამდენიმე ახალგაზრდა, რომელიც შემდეგ სირიაში გაემგზავრა დაემთან შესაერთებლად, რაღაც პერიოდის განმავლობაში ზემოთ ნახსენებ სახელმწიფოებში სწავლობდნენ ისლამს.

სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები დაემის წინააღმდეგ

ბუნებრივია, ძირითადი ბრძოლა დაემის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან დაფარულად მიმდინარეობს და შეუძლებელია ღია წყაროებზე დაყრდნობით, ოპერატიული ინფორმაციის არარსებობის პირობებში ამ ბრძოლის ეფექტურობის შეფასება. მიუხედავად ამისა, ჩანს რამდენიმე ნაბიჯი, რაც ხელისუფლებამ გადადგა დაემის წინააღმდეგ.

პირველ რიგში, აღსანიშნავია რამდენიმე დაპატიმრება, რომელიც ტერორიზმთან კავშირის გამო განხორციელდა. პირველი ხმაურიანი დაკავება 2015 წლის 14 ივნისს განხორციელდა. სუს-მა უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებებით დააკავა გიორგი კუპრავა, რომელიც განსაკუთრებით აქტიური იყო სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა თუ ვებ გვერდებზე, რომლის შინაარსი ძირითადად ხალიფატის შექმნის პროპაგანდასა და პოპულარიზებას წარმოადგენდა.

გიორგი კუპრავა ორ ახალგაზრდასთან ერთად იქნა დაკავებული თბილისის აეროპორტში. მასთან ერთად ასევე დაკავებული იქნა ახალგაზრდების გადამბირებელი და შუამავალი აიუფ ბორჩაშვილი, რომელსაც ტერორიზმის ხელშეწყობაში დასდეს ბრალი. ბორჩაშვილს ასევე ბრალად ედება 2015 წლის 2

²⁴ ინტერვიუ სოფელ დუისის ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, სექტემბერი 2015

აპრილს არასრულწლოვანი მუსლიმ კუმტანაშვილის და 19 წლის რამზან ბაღაკაშვილის გადაბირება და საომრად გაგზავნა სირიაში.

მეორე ხმაურიანი დაკავება განხორციელდა 2015 წლის 22 ნოემბერს, როდესაც მოქალაქე დავით ბორჩაშვილი ტერორიზმის ბრალდებით იქნა დაკავებული სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ სსსკ-ის 328-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში, ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს. დაკავებიდან მალევე ასევე გავრელდა ვიდუო რგოლი, სადაც ბორჩაშვილი შეიარაღებულია და, სავარაუდოდ, დაემის სხვა წევრებთან ერთად მანქანით გადაადგილდება. მისი ადვოკატის განცხადებით, ბორჩაშვილი არ უარყოფს სირიაში ყოფნას, თუმცა გამორიცხავს დაემთან თანამშრომლობას, რადგან სირიაში ყოფნისას იბრძოდა სხვა ამბოხებელი ჯგუფის ფარგლებში, რომელიც უპირისპირდება როგორც ასადის მთავრობას, ისე დაემს.²⁵

მეორე ნაბიჯი, რომელსაც უახლოეს მომავალში ელიან ხელისუფლების მხრიდან არის ზემოთ ნახსენები ვებ რესურსების დახურვა. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ეს ვებ რესურსები, მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგაც კი, ჯერ კიდევ ღიაა და მათზე ხელმისაწვდომობა შეზღუდული არაა. რა თქმა უნდა, ამ რესურსების ოპერირებას აქვს დადებითი მხარე, მათზე შესული ადამიანების იდენტიფიკაციის და კონტროლის კუთხით, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მას შემდეგ, რაც გვერდზე ვიდუო რგოლი გავრცელდა ქართველებზე ძალადობის მოწოდებით, ამ ვებ გვერდს ბევრი გარეშე პირიც ესტუმრება, რაც ერთი ორად აკნინებს მის ოპერატიულ მნიშვნელობას. შესაბამისად, სავარაუდოდ, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში ეს ვებ რესურსები დაიხურება.

მესამე, რაც ყურადსაღებია, არის შსს-ს მიერ გაკეთებული მოწოდება მას მედიის საშუალებებზე, რომ არ მოახდინონ ძალადობის შემცველი ინფორმაციის და მოწოდებების გავრცელება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან არასწორმა გაშუქებამ და/ან რელიგიური შუღლის გაღვივებამ შეიძლება უკუეფექტი მოიტანოს და სწორედ ტერორისტების მიერ დასახულ მიზნებს მოემსახუროს.

²⁵ ტერორიზმის ბრალდებით დავით ბორჩაშვილი დააკავეს, InterPerssNews 22 ნოემბერი, 2015. იხილეთ ინფორმაცია: <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/355337-terorizmis-braldebith-davith-borchashvili-daakaves.html?ar=A>

მეოთხე; ძალიან მნიშვნელოვანი იყო 2014 წლის აპრილში სამართლებრივი კუთხით განხორციელებული რამდენიმე ცვლილება. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ცვლილება შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და მას დაემატა მნიშვნელოვანი მუხლები²⁶. ახალი რედაქციით კოდექსს დაემატა 323² მუხლი (საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა). ამ მუხლის მიხედვით საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა, ან/და უცხო ქვეყნის ან მისი ორგანოს, პირთა ჯგუფის ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სამხედრო ხასიათის მხარდაჭერა, ჩადენილი ტერორისტული მიზნით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე. გარდა ამისა, კოდექსს დაემატა 327¹ მუხლი (ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებისათვის გადაბირება). ამ მუხლის მიხედვით ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის გადაბირება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე. ცალკე აღსანიშნავია, 328-ე მუხლი, რომლის მიხედვით “უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ან ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ჩვიდმეტ წლამდე”. და ბოლოს, მნიშვნელოვანია 330¹ მუხლი (საქვეყნოდ მოწოდება ტერორიზმისაკენ), რომლის მიხედვით “საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელება ან სხვაგვარი მიწოდება ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისაკენ მოწოდების მიზნით, თუ ეს ქმედება, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა იგი დანაშაულის ჩადენისაკენ პირდაპირ მოწოდებას, წარმოშობს ასეთი საქმიანობის განხორციელების საფრთხეს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.”²⁷

რეკომენდაციები

ზოგადად, მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები ადეკვატურია იმ საფრთხეებისა, რაც უკანასკნელ პერიოდში გამოჩნდა დაემის მხრიდან. მიუხედავად ამისა, გვჯერა, რომ ხელისუფლებას უნდა შესწევდეს ძალა არა მხოლოდ კონკრეტული რეაგირება მოახდინოს ინციდენტებზე და ტერორიზმის შემცველ მუქარებზე, არამედ აწარმოოს პროაქტიული სტრატეგიული პოლიტიკა, რომელიც მიზნად დაისახავს რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას.

²⁶ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999წელი, მუხ. 209

²⁷ საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი 04/04/2014. იხილეთ ინფორმაცია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2319468>

GRASS ხელისუფლებას სთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს.

1. მთავრობამ გაატაროს უფრო აქტიური ანტი-ტერორისტული საგარეო პოლიტიკა. გვესმის, რომ ამგვარ მოწყვლად გარემოში ხელისუფლების პირველი ინსტინქტი შეიძლება იყოს “არც მწვადი დავწვით და არც შამფური” პოლიტიკის გატარება. რეალურად, საქართველოს ინტერესში მხოლოდ ისაა, რომ მის ტერიტორიაზე ტერორიზმის საფრთხე შემცირდეს, ხოლო მისი საერთაშორისო პრესტიჟი, როგორც მის რეგიონში მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებზე აქტორისა არ შემცირდეს. ზედმეტი აქტიურობა ყოველთვის იწვევს ტერორისტებისგან ზედმეტ ყურადღებას, თუმცა, ასევე ზედმეტ ყურადღებას იწვევს ჩვენი პარტნიორებისთვისაც. საქართველოს შეუძლია შესთავაზოს საკუთარი ტერიტორიის გამოყენება ანტი-ტერორისტული ინფრასტრუქტურისთვის დასავლელ პარტნიორებს. 2014 წელს რომ ჩაფიქრებული ანტი-ტერორისტული საწვრთნელი ცენტრის იდეა არ ჩავარდნილიყო ორ სამთავრობო უწყებას და აშშ-ში საქართველოს საელჩოს შორის სტრატეგიულ საკითხებზე კომუნიკაციის და კოორდინაციის ნაკლებობის გამო, დღეს ჩვენი როლი ანტი-ტერორისტულ კოალიციაში გაცილებით დიდი შეიძლება ყოფილიყო.

2. შესაბამისი სპეც. სამსახურების უფრო გააქტიურება, მათ შორის, ამ სამსახურების რესურსების გაზრდა. იმის გამო, რომ ტერორისტული საფრთხეები საქართველოსთვის ახალია ამგვარი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება ქვეყანას არ აქვს, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი რესურსი იყოს დახარჯული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. GRASS ეთანხმება 24 ნოემბერს პარტია “თავისუფალი დემოკრატების” მიერ გაჟღერებულ ინიციატივას, რომ გაიზარდოს კონტრ-ტერორისტული მიმართულების დაფინანსება. ამასთან, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საგარეო დაზვერვის სპეც. სამსახურის, და ზოგადად უშიშროების შესაბამისი სამსახურების ფულადი და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა ამგვარ ვითარებაში სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრალური ელემენტი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დაზვერვის სამსახურის ბიუჯეტი ბოლო 5 წლის განმავლობაში მზარდი დადებით ტენდენციით ხასიათდება, მიგვაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი. 2015 წლის ბიუჯეტი, 2011 წლის ბიუჯეტთან შედარებით 100%-ით არის გაზრდილი და შეადგენს 12.400.000 ლარს, რაც არ არის საკმარისი სამსახურის სრულყოფილად და კომპლექსურად მუშაობისთვის.

3. უცხო ქვეყნების სპეც. სამსახურებთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია. რა თქმა უნდა, ეს მიმართულება საზოგადოებისთვის დახურული იქნება მისი სენსიტიურობის და სპეციფიური ხასიათის გამო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ

საქართველოს ხელისუფლება გაააქტიურებს თანამშრომლობას თურქეთის შესაბამის სპეც. სამსახურებთან, რათა მოხდეს სირიაში მიმავალი მარშრუტების იდენტიფიკაცია, ასევე ყველა იმ შუამავალი რგოლის გამოვლენა და დაკავება, რომლებიც ხელს უწყობენ დაეშვი საქართველოს მოქალაქეების რეკრუტირებას. ცალკე მიმართულება უნდა იყოს სასაზღვრო სამსახურების გააქტიურებული თანამშრომლობა, რათა თურქეთის მიერ სირიაში ბრძოლაში ექვმიტანილი პირები (სხვადასხვა წყაროებით, ასეთი შეიძლება 1000-მდე ადამიანი იყო) არ მოხვდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კუთხით ცალკე მიმართულება უნდა იყოს ისეთი სასწავლებლების გამოვლენა თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც სწავლა ხელს უწყობს საქართველოდან ჩასული ახალგაზრდების რადიკალიზაციას. მიგვაჩნია, რომ სრული ტრანსპარენტულობა და გაღრმავებული თანამშრომლობა ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოების სპეც. სამსახურებთან, მათ შორის, ნატოს უსაფრთხოების ოფისთან, ხელს შეუწყობს ჩვენს უსაფრთხოებას.

4. სისხლის სამართლის კოდექსის გადახედვა და ტერორიზმში მონაწილე პირებისთვის სანქციების დამძიმება, მათ შორის, ქონების კონფისკაციის და უფრო ხანგრძლივი სასჯელების შემოღების კუთხით. ტერორიზმს არანაირი გამართლება არ აქვს, შესაბამისად, ის ადამიანები, რომლებიც მასში ერთვებიან უნდა სრულიად აცნობიერებდნენ, რომ ელით დიდი სასჯელი, მათ შორის ქონების სრულად დაკარგვა.

5. გადამწყვეტი ზომების მიღება ისეთი პიროვნებების, რომლებიც მიზანმიმართულად აღვივებენ შუღლს ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის. დაეშვი მხარეს მებრძოლების ერთ-ერთი არგუმენტი ის არის, რომ საქართველოში “ისლამს ებრძვიან”. რა თქმა უნდა, ეს აბსურდია. თუმცა, ბოლო წლებში ზოგიერთი ჯგუფის მიერ გადადგმული ანტი-მუსლიმური ნაბიჯები (მაგ. ჭელას მინარეთის ისტორია, ქობულეთში მუსლიმურ სკოლაზე ღორის თავის მიკვრა, სოფელ მოხეს სალოცავის ისტორია და ა.შ.) ადეკვატურად არ იქნა შეფასებული ხოლო დანაშაულის ჩამდენები არ იქნენ დასჯილნი ხელისუფლების მხრიდან, რამაც შეიძლება გაამძაფრა მუსლიმურ თემებში გაუცხოების აღქმა. რელიგიური პოლიტიკის ასეთი “ჩავარდნა” პირდაპირ აისახებს კონკრეტული ინდივიდების რადიკალიზაციაზე.

6. იმ თემებში, სადაც მეტი შანსია მოსახლეობის რადიკალიზაციის, არის ძალიან რთული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა. ცალკე პრობლემა განათლების საკითხი. ჩვენი მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბევრი ახალგაზრდა ამჯობინებს სკოლის დასრულების შემდეგ ან ოჯახში დარჩეს, ან უფრო ღრმა რელიგიური განათლება მიიღოს. ეს კი მათ ხელს უშლის ინტეგრირდნენ

საქართველოს საზოგადოებაში, მოძებნონ შესაბამისი სამსახური და ჰქონდეთ ანაზღაურება. ძალიან ბევრ ადამიანში ამ რეგიონებში არსებობს გარკვეული “გარდაუვალობის” განცდა, რომ რაც არ უნდა გააკეთონ, მათთვის საუკეთესო გამოსავალი ისლამის დასაცავად ბრძოლაა. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ შესაბამისმა უწყებებმა შეიმუშაონ კონკრეტული პროგრამები ამ რეგიონებში მცხოვრები მუსლიმი ახალგაზრდების ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათთვის განათლების გასაგრძელებლად და სამუშაო ადგილების შესაქმნელად. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ სახელმწიფოს, მათ შორის სტატისტიკის ოფისს, გააჩნდეს უფრო კონკრეტული სტატისტიკური ინფორმაცია მოწყვლად რეგიონებში მცხოვრები ადამიანების, მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის და შრომითი პირობების შესახებ.

7. მაქსიმალური ტრანსპარენტულობა და გახსნილობა მასობრივი მედიის საშუალებებთან, მათ შორის, მათთვის იმ საფრთხეების ახსნის გზითაც, რაც შეიძლება ახლდეს ტერორიზმის შესახებ რეპორტაჟების გაშუქებას და ტერორისტული, ან ექსტრემისტული პროპაგანდის “უნებლიე” გავრცელებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლება, პოლიტიკური ძალები, სამოქალაქო საზოგადოება და მასმედია ერთად მუშაობდნენ იმ მიზნით, რომ არ მოხდეს ქვეყანაში რელიგიური შუღლის გაღვივება და ტერორისტების იდეების პოპულარიზაცია და პროპაგანდა.

8. უშიშროების საბჭოს, კრიზისების მართვისა და უსაფრთხოების საბჭოს დროული რეაგირება ყველა შესაბამის ინციდენტზე. შეიძლება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაღალი დონის რეაგირების საჭიროება არ იყოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მაღალი დონის სათათბირო შეხვედრის დანიშვნა ინციდენტიდან ორ კვირაში, არასათანადო რეაგირების შთაბეჭდილებას ტოვებს.

9. სტრატეგიული დოკუმენტების გადახედვა და მასში ტერორიზმის გაზრდილი საფრთხის დაფიქსირება. არც საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, არც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და არც სამხედრო დოქტრინა არ არის მორგებული იმ ახალ რეალობებზე, რომლებიც წარმოიშვა დაემის გააქტიურების შემდეგ. აუცილებელია, რომ ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტები პროაქტიულად და სტრატეგიულად უდგებოდნენ ტერორიზმიდან მომავალ საფრთხეს.